


მეატრი



საყოველ-ვეინაო ლიტერატურული და მსატერობითი კასეთი.

ფასი „თეატრი“-ს წელი სუთი (5) მსეთი, ნსეგერ წელი სმი (3) მსეთი, სსგა გადით სელის მო-
წერა არ მიადება. ცადუკ სომერი „თეატრი“-სა დინს სსმი შაურა. სელის მოწერა მიადება: თბილისში
„თეატრა“-ს რედაქციასში და ქუთაისში მ. ჭილაძეის წიგნის მაღასიაში. გარეშე მსწავრებთათვის ადრესი:
Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.



მოტაცებულია! *)

(მწეკმის ნაამბობი)

III

— „შამილი ჯერ კიდევ დაჭერილი არ იყო“; ამ სახით განაგრძო მასპინძელმა თავის თავგადასავლის ამბავი: — მე მაშინ თერამეტი წლისა ვიქნებოდი, როდესაც უბლანობის გამო ცხვარი აქ ალაზან ვალმა გამოერევეით. ბვალვა ისეთი ძრიელი იყო იმ წელსა, რომ მთელი ძახეთის ცხვარი, ყველას აქ უნდა გამოერეკნა. ამავე დროს „შიშინობაც“ გაძრიელებული იყო ძახეთში; შამილის მოქმედებისაგან ვაზვიალებული ლეკები, გუნდ-გუნდათ ჩამოდიოდნ მთიდგანა და „თულაობასთან“, ზოგჯერ მთელ სოფლებსაც იკლებდნ ხოლმე. ნადელი და ნაშოვარი <ლაი-ლის> ძახილით გადაჰქონდათ ღალესტანში და ასე და ამ რიგათ მაშინდელ დროში მთელი ძახეთი მოუსვენარს დღეში იყო იმ დაწყევილი ლეკებისაგანა!.. ჩვენ, მწყემსები, ამ გვარ შიშინობას სრულლებითაც არ შეუშინდით და უფრო და უფრო მთის კალთებში ავეილიოდა ცხვარი. მთხი ხუთი ბინა ვიყ-

რებოდიოთ ერთათ და ცხვარს უშიშრათ ვაძოვებ-
ლით.

„ბვალვა და უბლანობისაგან გულ ვატეხილი მწყემსები ავეიტყუა მწვანე ბიბინა-ბალახმა და ბინათან-და-თან წინ გადაგეკონდა. შრთხელ ბინა ერთ პატარა დაცემულ სერიანზედ დავდეით. ამ პატარა სერს გარშემო საამური ქედები ჰქონდა შემორატყმული და ბალახს ხომ უკეთეს ველარა ენახამდით. იქ პირველი ოთხი დღე კარგათ ვავატარეით; მხიარულება და ფანტურის დაკერა მხოლოდ ჩვენა გეკონდა დარჩენილი. მეექვსე დღეს აკი გაუწყრათ ჩენი გამჩენი და სალამო ჟამს დავგეცა ბინაზედ ოცდაათი კაცი. ბევრი ვიბრძოლეთ, ბევრი კიჟინა და თოფის სროლა ავეტეხეთ, მაგრამ, მაინც დავემდიეს და ცხვართან მე და ჩემი ამხანავი ვავეიტაცეს თანა“...

აკ შესდვა ჩენი მოსაუბრე მასპინძელი; მოატანინა ცოლს ხონჩა, დავეიდვა წინ და შეუდეკით ვაშმის კამასა. დურიჯი ახლოს არ მოგვეკარა, იმან ცალკე დაიდვა პატარა ტაკკით პური და კუთხეში მიმჯდარმა განაგრძო ვაშმის კამა. ვაშმის დროს ჩვენ არაფერი გეკითხავს მასპინძლისთვის და მხოლოდ იმას ვფიქრობდით, რომ ვავათავებდით თუ არა ვაშმს, მასპინძელი მწყემსი განაგრძობდა თავის ამბავსა. ასეც მოხდა. ვაშმაში მალე ვავათავეთ და შემდეგ მოსაუბრე ისევე თითონვე დაუბრუნდა თავის საუბარსა.

*) ისილე <თეატრი> № 10.

— „ჰო, იმას მოვახსენებდით: მე და ერთი ჩემი

ამხანაგი წაგვიყვანეს თანა; მთელი გზა სულ ფეხით გვატარეს იმ ოჯახ დაქცეულებმა და მერვე დღეს როგორც იყო მივედით სოფელ უნწუნშია. მიუახლოვდით თუ არა სოფელს იქვე გაიყვეს ნადავლი და, მე, ოთხი ძროხა და ოცდა ათამდისინ ცხვარი ერთ მოხუცებულ ლეკს ვერგვეით წილათა. ლეკმა გაირეკა წინ ცხვარი და ძროხა; მეც უკან მივედელი მათ და მიგვიყვანა თავის სახლში, რომელიც სოფლის ბოლოში იყო. სახლში მყოფთ რაკი შეიტყეს „ბებერი მთლის“ მშვიდობით დაბრუნება, გახარებულები გამოეგებნენ ეზოში და შემოეხეინენ გარშემო... აბა მე კი რას გაეგებდი და ისეთი ყრიათული ასტეხეს, რომ კაცს ეგონებოდა ჯოჯოხეთში ჩაყარდო. დიდმა თუ პატარამ დაანებეს საქონელს თავი და ახლა მე შემომხეინენ გარშემო; პატარებს უფრო უოცდებოდათ უცხო კაცის ნახვა: ზოგი ჩოხის კალთას მიწვედა, ზოგი ჩემ თუშურ ქუდსა მხდიდა თავიდგანა და გაშინჯვის შემდეგ ისევა მხურავდენ თავზედა, ზოგნი საცვეთებს მიშინჯავდენ, ერთი სიტყვით, აღარ იცოდნენ რა ექნათ ჩემთვის, როგორ გვეშინჯე თავიდგან ფეხებამდისინ. მეც გაჩუმებული ხან ერთს უყურებდი და ხან მეორესა; მე იმათი არა მესმოდა-რა და ქართული კი მხოლოდ იმ „ბებერმა მთლმა“ იცოდა.

„ასე ჩხრეკის შემდეგ, განაგრძო კვალათ მასპინძელ-მწყემსმა საუბარი, — შემყვანეს სახლში და დამსვენ ცეცხლა პირსა. ნადავლ ცხვარიდგან ერთს მაშინათვე გამოჰსჭრეს ყელი, შემოდგეს ცეცხლზედ ქვაბები და ფლავი ისე მალე მოხარშეს დედა-კაცებმა, რომ ჩვენებური დედა კაცები თავიანთის ზარმაცობით მომძულდნენ მათ მაყურებელსა მოხარშა თუ არა ფლავი, გადმოიღეს ღიდრონი სინები, შემოუსხდენ გარშემო თითო სინს სამი ოთხი სული და ისე დაუწყეს ჭამა, რომ მაძლარსაც კი მაღაზედ მოიყვანდენ. მეც ერთ პატარა სინზედ მომცეს ცაღე, მაგრამ რვა ცხრა დღის დაღლილ დაქანტულს რა ჭამის თავი მქონდა; ერთი თვალის მოტყუება ათას იმისთანა ფლავს მირჩვენოდა... მახშამა მალე გაათავეს და ყველამ «ღურა ტყავებს» წამოაველეს ხელი: ზოგი იქვე წამოწვა, ზოგი ღერეფანში, ზოგმა ეზოსკენ გასწიეს დასაძინებლად და მეც შემყვანეს ერთ პატარა მიწურ სახლში, მომცეს ტყავი და გადამიკეტეს გარედგან კარები. პატარა ხანს შემდეგ ეახსნენ ლმერთი და თუმცა უცხო მხარეს, მაგრამ დაღლილ-დაქანტულს ძრიელ ტკბილათ ჩამძინებოდა...

IV

ქინელელა მალე გადიოდა; ღრუბლები წაიღ-

წამოვიდნენ და ზაფხულის ლურჯათ მოწმენდილ ცაზედ, მალე ამოაშუქა ღამის ღამაზარმა. ჩვენ და ჩვენი მასპინძელი—მწყემსი გამოვედით კარში და დაეხედეთ თავისუფლათ დაქრილ ცხვარსა. ჩამოვსხედით პატარა კუნძზედ და სიამოვნებით დაუწყეთ ცქერა დანამულ ბალახსა; მასპინძელმაც გაიკეთა ჩიბუხი, ერთი რამდენჯერმე მოსწია და განაგრძო ამბავი თავის თავგადასაჯალზედა:

— „თუმცა ყველაფერი უცხოთ მეჩვენებოდა, მაგრამ უნდა გითხრათ რომ ძრიელ მალე შევეჩვიე იქაურობასა. ლეკების ცუდი მოწყობილობა, ძალღუმადური ცხოვრება და წუნკალობა, მეც იმათსავით შემყვარდა, მეც იმათთან და იმათსავით დაეწიე ცხოვრება. დრომ ჩვეულებისამებრ მალე გაირბინა და რვა თვის განმავლობაში კარგათ შევისწავლე როგორც მათი ცხოვრება, ისეთაც მათი არეულობის მიზეზებიც... ისიც უნდა გითხრათ, რომ შამილი იმ დროს ჩვენ სოფელზედ ახლო სცხოვრებდა, ჯარი არა ჰყვანდა მაგრე რიგათ მამეტებული, მაგრამ მათი ბილიკები, ვიწრო ხეობები და მიუღვამელი სერები ცოტათიც ბერს გაუმაგრდებოდნენ... ისეთაც არ ისვენებდენ ი დაწყველილი ლეკები და მალმალ მიღიოდნენ ალაზნისაკენ სათულაოთ, რომ ედავლნათ რასაც მოასწრობდენ და გადმოეყვანათ ღაღესტანშია. ამ რიგათ მეოთხე გზობაზედ, ჩემი „ბატონიც“, ასე ექვანდით ლეკებს ნადავლი ტყვეები, — იქვე მოგვიკლეს თულაობის დროს და ისე მოგვიტანეს შინა...

„მე, მართალია, ტყვე ვიყავი მათი, მაგრამ სისწორე უნდა სთქვას კაცმა, შვილივით მიფრთხილდებოდნენ. ნადავლი ცხვარი ბევრი ჰყვანდათ და ჩემის მეტი არავინ უფლიდა იმათა. დილით გავრეკავდი ხოლმე და ზოგჯერ ორი სამი დღე აღარ მომიდიოდა სახლშია. მე, ჩემო საყვარელო სტუმრებო, მხოლოდ იქაურ ტყეს, მინდორსა და წყალს გამოეყვანდი საკურველებიდგანა! წიფლის, კაკლის და წაბლის ჭალები სრულებით მაოცებდნენ; მწვანე ხაესსავით ბალახი და ნაკადულსავით მორბედი ცივი წყაროები, ზოგჯერ იქამდისინ მიმიზღადდენ ხოლმე. რომ მთელი დღეობით ერთსა და იმავე ადგილს ვატრიალებდი ცხვარს, ერთსა და იმავე ადგილს ვატარებდი დროს სალამურის კერითა... იმაზედ უკეთეს ვერას ინატრის კაცი, როგორც ღამის გატარებას წაბლის ჭალაშია! რომ ვიცოდე სამოთხე ქვეყნიერათ იქნებოდა, მე სამოთხეთ იქაურ წაბლის ჭალებს, მშვენიერ მდგომარ და ბუჩქებში მორბედ წყაროებს ჩავთვლიდი!...

„ღურიჯი, განაგრძო დაულაღელმა მოსაუბრემ, — მაშინ თვრამეტ-ცხრამეტი წლისა იქნებოდა;

ჩვენებური ლაპარაკი მალე ვასწავლე და უნდა გამოტყევილი გითხრათ, რომ ორივენი ერთმანეთთან ძრიელ დამეგობრებულნი ვიყავით... ზოგჯერ სახლში სრულებით მარტონი ვრჩებოდით ხოლმე, ჩამოვსდებოდით დიდ მსხლის ქვეშ და სიამოვნებით უყურებდით ერთი-ერთმანეთსა, უყურებდით დიდხანს და ბოლოს... ბოლოს სწრაფი კოცნა შეიქმნებოდა ხოლმე ჩვენი გულის საიდუმლოების გამომთქმელი, ერთი სიტყვით, მე და ლურიჯს გვიყვარდა ერთმანეთი! ჩვენი საიდუმლო სიყვარული დღე დღეზედ უფრო ძრიელდებოდა და აღარ ვიცოდით, რითი და როგორ გაგვეწილებინა ჩვენ გულში ანთებული ცეცხლის ალღები...“

V

— „პრეულობა ლეკებში უფრო და უფრო ძრიელდებოდა. ლეკებს ცული დღე მოსდიოდათ. თანდა-თან შამილი მარცხდებოდა: ჯარი და სიმაგრენი ევრასა ჰშველოდენ, მოხუცებულები ყოველ დღე იკრებოდნენ სოფლათ; დიდის ფიქრისა და რჩევის შემდეგ, მაინც ურჩევდენ ახალ-გაზღობასა, რომ არ შეერცხნინათ „ყორანი“, გაემაგრებინათ მთა და შამილის ბძანება აღესრულებინათ. მოხუცებულების სიტყვები ზარსავით ეცემოდათ თავს ახალგაზღობასა და დიდი თუ პატარა, ღონიერი თუ უღონო იარაღს ივლებდენ ხელსა. ამ ყოფით მაინც ვერ შეაყენეს ჩვენი ჯარები და როგორც ხმა ისმოდა სულ წინ და მხოლოდ წინ მოდიოდნენ, სერები სერებზედ იღებოდა; ხალხი საკმაოთ უწყდებოდათ ლეკებს; ღონის-ძიება აღარ-საიდგანა ჰქონდათ ბრძოლის გაგრძელებისა. მოწინააღმდეგეთა შორის არ გავიდა ერთი კვირაც, რომ ყველა სოფელმა, ყოველმა საზოგადოებამ, ყოველმა სულმა ჩამოყარეს ყურები, შეუდგათ ვაი-ვაგლახი და აღარ იცოდნენ რა საშუალებისათვის მოეჭიდნათ ხელი... გასახიზნავათ, ტყეში თავ შესაფარებლათ ურემი-ურემზედ ეშადებოდა! რა იყო და რა ამბავია? მისაც გინდათ დაჰკითხებოდით, მხოლოდ ერთსა და იმავე პასუხს შემოგჩივლებდენ. — შამილი დაიჭირეს, კინალამ, ჩვენ ვალა დავიღუპენითო!“

„ღიან, შამილი დაიჭირეს, დაჰყარეს ლეკებმა იარაღი და მოუღრიკეს თავი ჩვენს მთავრობას! რაკი დაჰხედეს თავიანთ უღონობას, რაკი ნანეს რომ ველარას გააწყობდნენ, მაშინ ყველგან დამშვიდდენ, ყველგან დანებეს არეულობას თავი და მხოლოდ ისლა იყო მათი ფიქრი: საით და რა დრომდე რომელ მთისათვის შეეფარებინათ თავი.“

VI

— „შამილის დაჭერასთან, ბედნიერი ვარსკვ-

ლავი ამოგვივიდა მე და ლურიჯსა. მხოლოდ ესლა შეგვეძლო აღგვესრულებინა ის, რაც აქამდისინ საიდუმლოთ იფარებოდა ჩვენს გულშია, და ეს საიდუმლო მიზანი კიდევ იყო ისა, რომ გავშორებოდით მთას, მოვშორებოდით შინაურულს არეულ-დარეულობასთან, ისეთაც ბინძურ ცხოვრებასა და გვეცხოვრნა ჩვენთვის ცალკე, სრულებით თავისუფლათ და ერთმანეთის სიყვარულითა.

„ასეც მოჰხდა. ხალხის არეულ-დარეულობით ჩვენ ძრიელ ვისარგებლეთ; ყველა მიეშურებოდა, ყველა აზარებდა ურემს, მაგრამ საით მიდიოდნენ, სად უნდა შეეფარებინათ თავები, არა-ეინ ერთმანეთის ამბავი არ იცოდა. თქვენც ხომ მეტყვით, ჩემო საყვარელო სტუმრებო, რომ ჩვენთვის ეს საუკეთესო დრო უნდა ყოფილიყო, უნდა გვესაზღებლნა იმითი, რასაც შემთხვევა გვაძლევდა და ისეც უყავით.“

„ის უქანასკნელი ღამე, რომელიც მე და ლურიჯმა გავატარეთ ღაღესტანში, ერთ უკეთეს ღამეთ უნდა ჩაითვალოს ჩემს სიცოცხლეში! სა, არა ჩვეულებრივ, ლურჯათ იყო შეფერილი, ზედ ვარსკვლავები თავისუფლათ დანავარდობდნენ და მთვარის მკრთალი სხივები, ზეწარსავით გადაჰფენოდა ღაღესტანის ნისლიან ღამესა, საამურათ გაისმოდა წაბლის ხეების შრიალი და წყაროს სერებიდგან ჩხრიალის ხმა თითქო გამარჯვების ხმებს გვიმღეოოდნენ. მიმტკნარებულ ბინდს მხოლოდ ზოგჯერ ფრინელის ხმა ახმაურებდა, რომ ამ დროს, ამ მშვენიერ წამს მე და ლურიჯი უშიშრათ მოგვედით ცხვარს და მიველადებოდით ჩემი საყვარელი მხრისაკენ! ბათენდებოდა თუ არა, სადმე ხეობაში ჩავრეკდით ცხვარსა და ბინდამდისინ იქ ვიყავით თავ-შეფარებულნი; რაკი კარგა შევამდებოდა, რაკი დღე ღამის ერთსა და იგივე საუცხოვო სურათათ გარდაიქცევოდა, მაშინ კვლავთ გამოუტყედით ხოლმე გზასა და ასე და ამ რიგათ მერვე განთიადს გადმოვხედეთ ჩვენ საყვარელ პლანანსა. წარმოიდგინეთ, ჩემო საყვარელო სტუმრებო, რა განარებულნი უნდა ვყოფილიყავი, რომ უზინათ თავ-დასწევულმა, მშვიდობით მოვახწიე იმ ადგილს, სადაც გამიტარებია კმაწილობის უკეთესი დღეები! ბადმოვედი ღაღესტანიდგან, გავინთავისუფლე თავი და ამასთანავე შევიძინე ის, ვისთვისაც მას აქეთი შემოწირავს ჩემი უკეთესი დღეები ეს — ლურიჯია, ლურიჯი მე მეკუთნის, მაგრამ იმ დღეიდგან, როგორც გამოტაცებული მე მოტაცებულს ვეძახი და თქვენც ხომ დამეთანხმებით, რომ ლურიჯი მოტაცებულია!“

ჩვენმა მოსაუბრე და დაუღლებმა მასპინძელმა ასე დააბოლოვა თავის თავ-გადასავალი; ამასობაში ღამე კარგათ გასულიყო და ჩვენც იქვე, ცხვართან ახლოს წამოეწეკით დასაძინელათა. მეორე დღეს აღრიან საუზმის შემდეგ ჩვენ და ჩვენი მასპინძელი გავ-შორდით ერთმანეთსა. ჩვენ ჩვეულებისამებრ შემოუ-დექით ტყეს და მხოლოდ მეოთხე ღამეს დავბრუნდით სახლშია.

ასეა, ჩემო მკითხველო, მონადირეთა წესი; ტყეში სადაც დაგიღამდება, იქ უნდა გაგიტენდეს და სადაც გაგიტენდება იქავე დაგიღამდება. ვინ იცის ამ დროს ვის არ შეჭედები, ვისთან არ მოგიხდება ღამის გატარება, რომელთა საუბრით და თავ-გადასავლის ამ-ბით გავიწყდება დაღლულობაც, ტყეში სიარულიც და ასე და ამ რიგათ მიუწლომელ სიამოვნებით ატარებ დროსა.

გელის-ცახელი.

(დასასრული)



არ არის წმინდანი ბამოქრიცხველი.

მართს კრებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი ექიმებ-ზედ. ლაპარაკობდენ მანდ თუ რამდენად საჭიროა საზოგადოთ ექიმისგან ავადმყოფის სანახავად დაუგ-ვიანებლობა და შემწეობა. ბერი ილაპარაკეს ამ სა-განზედ, მაგრამ რაკი ამ კრებაზე იყო ექიმი—დავამ მიიღო განსაკუთრებით გაშმაგებული ხასიათი.

— ღამიჯე-ეთ, ბატონებო, ცხადათ წარმოსთქვა ექიმმა, რომ თქვენ თხოულობთ შეუძლებელს. მიუ-ხედავათ მისდა, რომ პირველად ყველა პროფესსია უნდა თავისუფალი იოს თქვენ მინც არ გაქვსთ ნება მოითხოვოთ ექიმის მოსვლა, რაც უნდა გაქვიერება გქონდესთ, როდესაც უკანასკნელს რომელიმე მიზე-ზის გამო არ შეუძლია თქვენთან წამოსვლა—მე ვამ-ბობ, რომ თქვენ განუცხადებთ ექიმს ფიზიკურად აუს-რულებელს მოთხოვნისას... მომიტმინეთ... ნება მიბოძეთ გავთავო... მე შემიძლია ვიმუშაო პრაქ-ტიკაზედ 10—15 ბოლოს 18—20 საათიც... დრო არის შემდეგ დასვენების?! არა. იქოცი საათის შრო-მის შემდეგ კიდევ გვიძახიან ავადმყოფთან. პირველად მე ძილი მინდა და თქვენ ლაპარაკობთ უღომობელო-ბაზედ... როცა არ იცით ექიმის გარემოება—შეიძ-ლება ამ უკანასკნელს სახლში საშიშარი ავადმყოფი ჰყავს.

— მომიტმინეთ, ექიმო. გაწყვეტინა ლაპარაკი ერთმა მოლაპარაკეთაგანმა, თქვენ, რასაკვირველია, რიგინათ სჯით. იქნებიან შემთხვევები, როდესაც ექიმს ვერ ძალუძს წავიდეს ყოველ ძახილზედ და სა-ზოგადოება ცუდათ ინსენებს ექიმს ამ შემთხვევაში, მაგრამ ხშირად იქნებიან ამისთანა შემთხვევები? სხვა-ფრივ, ამაზედ სჯაც ნუ გვექნება. ჩვენში ჩამოვარდა ლაპარაკი იმ განსაკუთრებული შემთხვევაებზედ, რო-დესაც ადამიანს სიკვდილი ემუქრება და სამკურნალო საშუალება სხვაგან მყოფობს. დასწანწალებ ექიმის-თვის, რეკ თვითოვეულის კარებთან, მაგრამ ყველგან ერთი და იგივე პასუხია: ხან „ექმი არ არის შინ“, ხან ექიმს ძინავს, ხან, ბოლოს, ექიმს არ შეუძლია წამოსვლა“. იი ამაშია ჩვენი დავა.

შუკრავად, მაგრამ მე მგონია, თუმც საქმე მი-დის კაცის ცხოვრებაზედ, იქ კითხვა აინხნება უბრა-ლოდ და სიმართლის სასწორმა უნდა დაიწიოს მო-მაკედანის მხრით და არა ექიმებისა საზოგადოთ... შესახებ მე მომაგონდა ერთი შემთხვევა, ზნეობითი შემთხვევა. ბაარჩიეთ ის და სთქვით ვინაა მართალი!.. მიმეორებ, შემთხვევა არა მოგონილი. მას აქვს ად-გილი ჩვენს ერთს დიდს ქალაქში.

მართ მომქმედ პირად აღმოჩნდა ჩემი კარგი მე-გობარი, ზღვის აფიცარი. ამ უკანასკნელის ცოლს დაუდგა დრო შვილის შობისა. შევლა, როგორც სჩანდა, მშვიდობიანად მიდიოდა, მაგრამ უცებ ბებიათ გამოაცხადა, რომ უსაკიროესია, ექიმის დაუყოვნებ-ლი შემწეობაო. რასაკვირველია, ჩემი მეგობარი მა-შინვე ჩაჯდა კარეტაში და გაუჩინდა ექიმთან. ღარეკა ერთის კართან—არ არი შინ; მეორესთან—არ მიი-დეს, მესამესთან—მოსივრებს და არ უბრძანებია გალ-ვიძება, მეოთხესთან, მეხუთესთან—ყველგან ერთი და იგივე შედიგია.

სასო-წარკვეთილო ჩემი მეგობარი დახედავს საათს და ნახავს, რომ ერთი საათი მეტი დაწანწა-ლებს. თავ-დავიწეზული ჩადის ერთ სახელოვანთან, რომლის მოპატიყება პირველად ფიქრადაც არ მოსე-ლია, რაკი ეს იყო დაზოგებული მის ჯიბეს. ჩამოა-ყენა ლაქია, რომელიც მას გადაეღობა გზაზედ, და გამოაცხადა გადაწყვეტილი მოთხოვნისება ენახა ექი-მი. მისი აღვლევებული ხმა გააგონა ექიმმა და ბალ-კონზედ კარებიდან გამოჩნდა პატარა ტანის გამხდარი მენებულულობის კაცი, ეს იყო ექიმი

„ექიმო, ღვთის გულისთვის, წავიდეთ ამ წუთ-ში ავადმყოფთან... მე ერთი საათი მეტია დაწანწა-ლებ... შეიძლება გვიანდაც იყოს. . შუკრავად, მაგ-რამ ნუ იგვიანებთ, ღვთის გულისთვის!“

— შუკრავად, მოწყალო ხელმწიფე, —მე ვლე-

ბულობ ავადმყოფებს მხოლოდ ჩემს სახლში...

— ჰქენით გამოარიცხვა... ექიმო, ჩემი მეუღლის სიცოცხლე თქვენს ხელშია.

— არა, არ შემძლია. ღღეს თქვენთან წამოვიდე—ხვალ არ მექნება მოსვენება მთხოვნელებისაგან.

„ექიმო, დაივირა სასო-წარკვეთილმა მეგობარმა, თქვენ ვალდებული ხართ წამოხვიდეთ და რატომ არ მოდიხართ?“

— მოწყალეო ხელმწიფე! თქვენ თავის თავს იგიწებთ...

«არა, თქვენ წამობრძანდებით, დაივირა მრისხანედ კლიენტმა და იმ მომენტში ექიმის პატარა მორთი მიიხვეტა ხელში ჩემმა მეგობარმა, რომელიც, მართალი გითხრათ, მთლობელობდა დევის ოდენ ღონეს. მრთი წამიც და ორივე კარეტაში გაჩნდენ, ყველა ეს ისე უცბად მოხდა, რომ, ვერც ექიმის კაცმა, ვერც ვინმე შინაურთაგანმა ვერ მივიდენ საშველებლად. ასე ხალათოსანი წარსდგა სახელოვანი ექიმი ავადმყოფის წინ. არ გასულა ერთი საათიც—ყოველივე შემწეობა აღმოჩნდა და საშიშროებაც დაიკარგა. როცა მოვიდა გონზე ჩემმა მეგობარმა მოითხოვა ბოდიში ექიმთან თავის კანდიერებაზედ და თავხედულ საქციელზედ.

— პირველად უბრძანეთ ტანისამოსი მომიტანონ, ღიმილით უთხრა ექიმმა, თორემ დამინახვენ თუ არა ხალათით ქუჩებში—იტყვიან, რომ კუჭიდან შავიშალე... და ესლა, ნება მომეცით მეც ჩემდარიგათ ბოდიში მოვიხადო მაზედ, რომ მე გამოგიწვიეთ ამისთანა... ამისთანა გასაბედავ საქციელზედ; მაშასადამე მომეცო ხელი, რომ ორივენი კმაყოფილნი ვართ. მე ჩემდა რიგათ მივიღე ვაკვეთილი, რომ არა და არც უნდა იყოს წესი გამოურიცხველად.

მაშასადამე, ბატონებო, და თქვენ ექიმო, გაათავა ლაპარაკი, თქვენ წინ არის ჭაქტი, მაგრამ სთქვით, რომელი თქვენგან დაიდებს გულზედ ხელს და გაამტყუნებს ჩემს მეგობარს და ამასთანავე ვინ თქვენგანი უარს ჰყოფს ექიმთან ღრმად პატივის ცემას, იმ მომენტიდან, როდესაც ის ჩაუვარდა ხელში ჰერკულესს?

ამას უნდა დაუმატოთ კიდევ ერთი წვდილიალობა. ჩემ მეგობრის და სახელოვან ექიმს შუა, შემდეგ მათი შემთხვევით შეხვედრისა, ჩამოვარდა დილა მეგობრობა, ასე რომ თითქმის მათ გაიცინეს ერთმანეთის ოჯახობაც.

დ. ბოცვაძე.

ს ი მ ლ ე რ ა

(მთიულური)



ავაფსულს ია ამოდის, სთველში ირქა ვვირისო,— ეს ჩემი გული ტიალი ისევე და ისევე სტირისო.

ღამით მინახავს მთის ზირად ბუ გულ-საკვავად კიოდეს; ნეტავ თუ კიდევ სსუსაცა ჩემებრე გული სტიოდეს?! მითომ სუვეკლას ბოლო აქვს, ზღვანიც კი დაშრებიანო; მას ჩემის გულის დაშრულნი რატომ არ გასწუვებინანო?!

გაყაფშაკვლა.



* *

მე არ მინდა ცხოვრებაში წინამძღოლო მეყანდეს, მასდეს;— თუნდ რომ ყველამ ამიძულოს, თუნდ რომ ჩემი აღთქმა წასდეს.

მე არ მინდა, თავგანი ვსცე უსულ-გულა, დაბალ გროვას. მასთან არ აქვს რამ კავშირი ჩემსა ვალადს და ჩემს გლოვას.

მე არ მინდა, რომ მაძღვნიდენ უნაყოფო ცრუ დიდებას და მის ნაცვლად თხოულობდენ საიდუმლო აღსარებას.

მე არ მინდა, რომ ვამცნობო ვისმეს ჩემი ტანკვა, ვნება, რომ მომესმას ყოველ მის დამ დაცინვა და სანსარება.

მე არ მინდა, რომ იცოდენ ჩემი აზრი და ფიქრები, რომ ამითი გავიმწავლო ერთი ასად ჩემი მტრები.

მე არ მინდა, რომ გამელავნდეს, უმცნაურა გრმნობათ ღელვას და ამ მკვდარ გულს ამოსცალდაქი მის ტადლებს ამოღელვას.

მე არ მინდა, რომ სედიდენ ჩემს სურვილს და ჩემს ცრემლებსა და უგრძობოდ დასცინოდენ მათგან უნებო სურვილებსა.

მე არ მინდა, რომ ესოდეს ჩემი გოდვა და ტირილი,
რომ ამითი მათ აეძრასთ სიამოვნე და დიმილი.

მე არ მინდა, არავისგან თანაგრძნობით შებრალება,
რომ უკანვე შიითსოვან თვის ურგები დავალება.

მე არ მინდა, არც ვითსოვ ევალ-დაფინის გვირგვინებსა,
რომ იმითვე დაკაწრული, ვერ ვუტლებდე მის წულუღებსა.

მე არ მინდა, სიკვდილ შემდეგ, რომ ამიგონ რამ
ბეგლები.
სიტყვებს კი მიწამლაგდენ, როგორათაც ცხვარსა მგლები;

მე არ მინდა, არც გენდობი ტურფა ქალის თვალზე
ცრემლებს,
იმის ორპირ მწუნარებს და გადაშლილს ბეჭებსე თმებს.

მე არ მინდა, არც მდობია, დიდ კაცებთან დადარება.
მაგრამ მინდა... ან რაღა ვსთქვა? სჯობს ისევე მდუმარება.

რ. ლისუბნელი.

ა ნ ე ტ ა ს

ვინ ვითსრა, და ვისმა ენამ
ჩემს გულში გრძნობა გაქრია,
არ ღვივის ცუცხლი შენ მიერ
ანაგზხი, გრძნობაც ნაქრია?

რად არ მისხმა სასასა
ენა ამისი მთქელია,
რად არ დაატუდა რისხვით ცა
ქვეშ არ გაჩერდვა სმელია!

შენ დაგივიწყო, შენ მოგიმულოა?
არა და არა, ვიდრე სკერს გული,
ძარღვთ სისხლის წვეთი მომპოპება
და ცოდვილს პირში მიდგანა სულია!

გწამდეს, სატრუაოვო, მე თვით ზეცანი
და ვოჯოხეთი შეერთებული
შენდაძ. ტრფობას ვერ აღმიფხვრინან,
გინდ შემომინთონ ცუცხლი გზებუელი;

ჩემი გულისა ალთის ის ცუცხლი
შენც დამიმოწმე—რად გამოჩნდების,
თუ არ ქვესქელის მოკვდავთა ძალთა
ბაქვად ნიჭთადმი ზეციერების!

გასსოვდეს მნათო რომ შენსა ტრფობას
იმდენსა გმატებ შენს სიყვარულსა,
ოხვრასა ხარკად, გრძნობასა ტასტად
და ფიანდაზად გაგიშლი გულსა...

სანაცვლოდ მსოლოდ ერთს რამეს ვთხოვ:
ტანჯულს სავანედ გნებით ტკბილია
კვლავ მომეც ბინა გულის გუნტულში
ღვთიურის ძალით მადღ-ფენიდი! ..

ჟაკ-ვინტრას.

„იმერიის“ ჰორაბი

„ივერიის“ მეორე-და-ერთე ნომრის «სახელდა-ხელოს» ავტორს საფანელი უნდა შემოკლებოდეს, რომ უხამსი ტყვილებით კვებავს საზოგადოებას. პი მაგალითიც, ვითომც მე მერჩიოს ქართველი საზოგადოებისთვის „სერენკი კოზლიკი“ იმღერეთ, თუ სიმღერას გინდა შეეჩვიოთო. ჩემ «თეატრში» დაბეჭდილ „უცხო სიმღერების გავრცელების“ წერილში ბრძაც კი შეიგნებდა ჩემ უკმაყოფილებას ამ გვარი სიმღერების გავრცელების გამო; მაგრამ ხელობა რაში უნდა გამოეჩინა, რომ მეკარე დედაბრისგან არ აელო მაგალითი. ამ უსახელო რძლის ქორი საკვირვლოდ არ მიგაჩნია, მისმა გამოჩენილმა დედამთილმა ისიც კი დასკვნა ჩემი წერილის გამო, ვითომც უარ ვყოფდე ჩვენი საერო სიმღერისა და გალობის არსებობას და „ესეც ამერიკა“ ასრულებს თავის ფილოსოფიას «ნარკვევის» ავტორი, თითქო მართლა ამერიკა აღმოეჩინოს.

ჩემგან აღიარებული ხელოვნური სიმღერების და ოპერის ნაწყვეტების თარგმნის საქიროება არც იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ ჩვენი საერო მდიდარი მუსიკა არ გვქონდეს და არც იმას, რომ მუსიკის შეჩვევისათვის უაზრო სიმღერას ვურჩევდე ჩვენებს. პი რას ვამბობდი პოზიტივად ჩემ წერილში: ეს ხელოვნური რუსული სიმღერები და სხვა-და-სხვა ოპერის ნაწყვეტები ქართულად თარგმნით, მუსიკის შეუცვლელად, რომ ვრცელდებოდენ ჩვენ საზოგადოებაში კარგი იქნება მეთქი“. მხადაა «სერენკი კოზლიკი» არც ხელოვნური სიმღერაა და არც კითხვა შეეგნება მავისთანა სიმღერებს.


მეორე ქორი მეგნება მევე, თუმც «ყბად ამღები» არ მახსენებს, როდესაც, ვითომც მოსწრებულად ამბობს „ქართული ენის გასამშენიერებლად ერთი იძახის „ებური“ მსჯობია და მეორე «სოციალ, დემოკრატიულ და სხვა რაღაც „ტიალს“ ამჯობინებსო. მს აულია იმ ჩემი კორესპონდენტის (№ 12) მინაწერი-

დამ, სადაც ვამბობდი, რომ «ვერ გენიას, სო-
ციალს, ადმინისტრაციას და სხვ, მეთქი» და რომ-
ლის გამო «ივერია» თავისი წერილი დასწერა და სა-
ბასად აყენებდა ჩემგან მოყვანილს წესს. მაგრამ
დიდად შეცდა იგივე „ივერია“ რომ ეს უცხო დასარ-
თავი სახელები მიცემითი ბრუნვითვე იხმარა, მის მა-
გიერ, რომ ეთქვა სოციალი, გენიალი, ადმინისტრა-
ტივი. «სახელ-და-ხელოს» ავტორიც წამოსულა და
იმავე შეცდომით იმეორებს ამ დასართავ სახელებს
და ერთ უცხო სიტყვასაც „დემოკრატიას“ თავის
მხრით უმატებს, რომ ჰსთქვას „სხვა რაღაც (ტი-
ა-ლს) ამჯობინებსო. აი ოხერ-ტილობა ამას ჰქვია.
სიტყვა «დემოკრატიალი» რომელი ენის ლექსიკონ-
შია? მს მხოლოდ „სახელ-და-ხელოს“ ავტორს გამოუ-
ხონორიკებია, რომ შემდეგი ქართული სიტყვის „ტი-
ა-ლის“ ხმარება შეძლებოდა. ამისთანა აზრს ვერც ოხუნ-
ჯობას ვუწოდებთ და ვერც სიტყვების ამღერებას. მს
აზრი მხოლოდ უმეცრების და ჩლუნგი გონების ნა-
წარმოები.

ამ უნდოდ ოხუნჯობას, სასარგებლო იქნება
„რიფმის“ *) დაწერით „სერინკი კოზლიკის“ გველენა
თავიდან აიშოროს, „ახლანდელურის“ **) ხმარებით ქარ-
თული შეისწავლოს და მერე მართლა დასაცინი მოე-
ლინება ყბად აილოს თუ საამისო კბილი ექნება.

პ. მარიაშვილი.

ქ. ზარიყი.



ახალ მოთხრობებზე

შესასებ უმაღლეს ქველ-მოქმედებაზედ მარკოზ ტვაინის

(თარგმანი) შახსტვი

შმაწვილობიდანვე, მე ჩვეულებათა მქონდა
ზნეობის მასწავლებელი ანდაზების კითხვა, რადგანაც
ერთის მხრით მაძლევდენ სასარგებლო გაცეთილებს,
მეორეთი—ბევრს სიამოვნებასა. მე ისინი ყოველთვის
ხელშია მქონდა და, რაკი ამერეოდენ აზრები ჩემი
ზნეობის შესახებ, მაშინათვე იმათ მიემართავდი ხოლ-
მე, და ისინი მიუანტავდენ ამ ცუდ აზრებსა; ყოველ-
თვისინ რაკი მე ჩემ თავს დაეინახავდი ეგოისტათ, ბო-
როტათ, ცუდ კაცათ, საჩქაროთ იმათ დაუწყებდი
კითხვას და მათშია ებოებდი როგორ უნდა მოექცეუ-
ლიყავი, რომ მქონდა ჩემი თავის პატივის-ცემა.
არა ერთხელ შევწუხებულვარ, რომ ეს საუცხოვო
ანდაზები ძრიელ მალე თავებდებინ, და არ არიან გავრ-
ცელებულნი თვით სხვა-და-სხვა ქველ-მოქმედების

*) უნდა იყოს «რიფი».

**) უნდა იყოს „ახლანდელი“.

მოთხრობებზედა. ეს მწუხარება თან და-თან ისე იდ-
გავდა ჩემში ფესვებსა, რომ, ბოლოს, გადაესწყვიტე
გაგრძელება ამ ანდაზებისა საკუთარის თხზულებითა,
და შეუდექი საქმეს. შემდეგ დიდს ჯაფისა და-
ვაბოლოვე კიდევსა. წარმოგიდგენთ, მკითხველო, მათ
შედევსა, გაგაცნობთ სათითაოთ ყოველ მოთხრობას
თავის ნამდვილი თვისებით და ჩაურთებ აგრეთვე ჩემს
განგრძობას, თუ როგორ გამოიკვლია ეს ჩემმა
თავმა.

მადლიერი მადლი. მრთხელ ერთმა კეთილმა ექიმ-
მა გზაში იპოვნა უპატრონო ძაღლი, რომელიც იტან-
ჯებოდა საშინელი მტკივნელობით, მოტყეხილი ფეხის
გამო. კეთილმა ექიმმა წაიყვანა საბრალო ცხოველი
და დაუწყა ექიმობა ავადმყოფ ასოსა, და ცოტა
ხნის შემდეგ კვალთ დაუბრუნა თავისუფლება თავის
პაციენტსა. ექიმმა კი მალე დაიფიქვა ესოდენი თავისი
ქველ-მოქმედება, მაგრამ რაოდენათ უნდა ყოფილი-
ყო გასაოცარი, როდესაც, რამდენიმე დღის შემდეგ,
ერთ დღიას გაალო თუ არა თავის სახლის კარი,
იმაწ შეპნიშნა სახლის წინ თავისი მადლიერი ძაღლი,
რომელიც მოუთმენლად ელოდა, ერთათ სხვა ძაღ-
ლებით, რომელთაც თითო ფეხი რაღაც გაუგებარის
მიზეზით, მოტყეხილები ჰქონდათ. გულ კეთილ ექიმ-
მა დაუყოვნებლივ აღმოუჩინა შემწეობა საბრალო
პირუტყვებსა, და ამასთანავე ალტაცებაში მოდიოდა
რომ ღმერთმა მოუვლინა მას, ასეთი მშვიდი ცხო-
ველნი, იმისათვისინა, რომ აღმოეჩინა მათთვის თა-
ვისი გულ-კეთილება და სხვა.

ჩემი განგრძობა. მეორე დღეს დილით ექიმმა
კვალთ დაინახა თავის კარებ წინ ორი განთავისუფ-
ლებული და მადლიერი ძაღლი, მათთან ერთად ორი
სხვა კოკლიცა. კოკლი ძაღლები მალე განთავისუფლ-
დენ ექიმის დაულალავ მზრუნველობისაგან, და ოთ-
ხივემ ერთად გასწიეს შინისაკენა. ღანებეს თავი ექიმს,
უფრო ფიქრებით მოცულს ამ თავის სასწაულ მოქ-
მედების შესახებ. გავიდა დღე, გაიარა ღამემ, გათენ-
და დილა; კეთილი ექიმის კარებ წინ იწვენენ ის ოთხი
მორჩენილი ძაღლი, მაგრამ მათთან ერთათ ოთხნიც
სხვანი იქნენ, რომელნიც საპრობედენ აგრეთვე მორ-
ჩენასა. გაიარეს ამ დღეებმაც, დაღვა სხვა დილა. სა-
სიერო ბილიკზედ იწვენენ თექვსმეტი ძაღლი ერთათა,
რომელთაგანაც რვას ფეხები ჰქონდათ დამტვრეული...
დამტვრეული ფეხები მალე ყველას საღათ გარდაექ-
ცათ, მაგრამ ექიმს, ფიქრები, ამ ღვთისაგან მოვლენ-
ილ საოცრებაზედ თითქო სრულებით აერივნენ. მზე
ჩვეულებისამებრ ამოვიდა და დანათა ოცდა თორმეტ

ძალდასა, რომელთაც ავესოთ მთელი ეზო. გარწმობა ძრიელ ბევრი ცნობის მოყვარენი შემოჰხვევოდენ და უყურებდენ ამ საოცარ მოვლენასა. ღმუილი დაჭრილებისა, მხიარული ყეფა მორჩილებისა და აუარებელი ყაყანი მაცქერალ მოქალაქეთა, მხიარულ სანახავს შეადგენდა მნახველთათვის. კეთილ-ექიმმა მოიწვია ორი ჯგრა ექიმი და სალამოდისინ გაათავა თავისი კეთილ-განძრახული ოპერაცია ..

მაგრამ ბევრ საგანს ბუნებაზედ თავისი სამზღვარი აქვს. როდესაც მეორე დღეს დილით, ჯერ კიდევ გათენცბისას, დანახა კვალთ თავის ეზოში აუარებელი ხროვა ძაღლებისა, რომელთაც ღმუილით თუ ყეფით ეხვეწებოდენ შეგლასა, ექიმმა სთქვა: „უნდა გამოვსტყუდ, რომ წიგნებმა შეცდომილებაში შემიყვანეს; ისინი მოგვითხრობენ მარტო კეთილს, დანარჩენზედ ჩუმით არიან.“

კეთილი წიგნაღი. მრთი ახალ-გაზდა მწერალი, ღარიბი კაცი, ამათა ცდილობდა მოექციენა თავისი სტატია რომელსამე ჟურნალში. ბოლოს, როდესაც უფრო სასო-წარკვეთილებაში შედიოდა შიმშილისაგან, იმან უამბო თავისი მწარე ხვედრი ერთ გამოჩენილ მწერალს და შეხვეწა ერჩინა რამ, ან ეშველნა რითიმე. ამ სულ-გრძელმა კაცმა მაშინათვე დანება თავი საქმეს და დაუწყო კითხვა ერთ იმის ხელთ-ნაწერსა, რომელიც ასეთ დიდ ვაი ვაგლახს იყო გამოვლილი. რა გაათავა თავის კეთილი განძრახვა, იმან კეთილის გულით ჩამოართვა ხელი საბრალო ახალგაზდა მწერალსა და უთხრა: «მე თქვენ სტატიაში ღირსეულობასა ვბოვებ; ორშაბათს შემოიარეთ ჩემთანა». ღანიშულ დროს, გამოჩენილმა მწერალმა, სამურის ღმილით, გადაუშალა ყმაწვილ კაცს წინ სტოლზედ ჟურნალის ნომერი, რომელიც ის კი იყო გამოეტანათ სტამბიდგანა. როდენათ ვასაოცარი უნდა ყოფილიყო ყმაწვილი კაცისათვის, როდესაც გადაშლილი ჟურნალის ფურცლებზედ იმან დანახა თავისი სტატია! „რითი შემძლიან, წამოიძახა ახალგაზდა მწერალმა, დაცვა მუხლის თავებზედ და ცრემლმა ნაკადულსავით დაჰხეთქა თვალებიდგანა: — რითი შემძლიან მადლობის გადახდა ესოდენ კეთილ-მოქმედებისათვის?.. მამოჩენილი მწერალი იყო სახელოვანი სნოდგრასისი, მხოლოდ ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, გადარჩენილი წყვილადი ხვედრის და შიმშილისაგანა, იყო აგრეთვე შემდეგ ცნობილი სნეგსი. ესურვოთ, რომ ამ შემთხვევას აღეძრას ჩვენ მწერლებისათვისაც სურვილი და კეთილათ მოჰპყრობოდენ ჭოველ ახალგაზდა მწერალსა.

ჩემი განგრძობა. მრთი კვირის შემდეგ სნეგსი კვალთ მოადგა კარზედ ხუთი რეუული ხელთ-ნაწერითა. სნოდგრასისი გულ-მოდგენით შეუდგა იმ ქალღლების შემუშავებასა, თან-და-თან გაჰკვალა გზა და შემდეგ კიდევ მოახერხა ორი სტატის ჟურნალში მოქცევა.

მაგიდა კიდევ ერთი თუ ორი კვირა მადლიერი სნეგსი კვალთ მოვიდა მწერალთან ახალის ტვირთითა. მანთქმული მწერალი იმ დღეს, როდესაც პირველათ იმას მოუხდა გაემხნეებინა ახალ-გაზდა მებრძოლე, აღუძრა იმას უმაღლესი სიამოვნება და სულის მღვდღვარებით შეადარა თავის თავი იმ მაღალ სულიერ კეთილის მყოფელთ, რომელზედაც იმას არა ერთხელ წაუკითხავს წიგნებშია, მაგრამ ეხლა იმას ეგონა, რომ იმის ქველ-მოქმედებას მოემატა ახალი პლანი, რომლის მსგავსიც წიგნებში ჯერ არ მოიპოვებოდა. იმას ენტუზიანში თან-და-თან ეკარგებოდა, ამასთანავე, იმას არ შეეძლო არ შეეწყნარებინა ეს მოცადი გზის გამკვალავი საბრალო ახალგაზდა კაცი, რომელმაც ასე საამურათ და გამოტენით მიჰმართა იმასა.

შედევათ აქ ზემოთ ამოკითხულ მაგალითისა აღმოჩნდა, რომ გამოჩენილი მწერალი ყოველთვის იმ უმარცხდებოდა საბრალო ახალგაზდა კაცსა. ყოველი იმისი ცდა რომ დაებრუნებინა თავისი მოხვეჭილი დიდება ამათა რჩებოდა. ის ეინც ყოველთვის ურჩევდა, ყოველ დღე მოსწონდა ხელთ ნაწერები, ასწორებდა მათ, რომ ისინი ღირსნი გაეხადნა ბეჭედისა, ცდილობდა რედაქციებშია, ამ ქველ-მოქმედებამ სულ ამათ ჩაუარა. რაკი ახალგაზდა მებრძოლემ გზა გაკვლილი ნახა, აღარა ჰსაკიროებდა ხელის წამართვას და თავისუფლად გამოვიდა მოღვაწეობის ასპარეზზედ. იმან უფრო იმითი გაიამაყა თავი, ყველა თავის მედროვე დიდება მოხვეჭილზედ, რომ მშენიერათ ასწერა გარეგანი ცხოვრება გამოჩენილი მწერლისა ისეთის სინამდვილის შენიშენებითა, რომ ცოტა ხნის განმავლობაში აუარებელი წიგნი გაიყიდა და მწერალს კი მხოლოდ ამ ამბავმა მოუსწრაფა სიცოცხლე სულის ამოსვლის დროს იმან სთქვა: «ვაჰ! წიგნებმა მომატყუეს; ისინი მოგვითხრობენ მარტო ნაწილს ისტორიისასა. ერიდეთ, მეგობარნო, ახალგაზდა მწერლებსა.

მაღლიერი სსხდობა. მრთხელ, ვილაც ქალი მოაქანებდა თავის პატარა ვაჟი-შვილით, ამერიკის პირველ ქალაქის ერთ უპირველეს ქუჩაზედა, ამ დროს დაუფთხათ ცხენები და გაიტაცეს ეტლი, მოეტლდ

გადმოაგდეს და საშინელს განსაცდელში იყენენ შიგ მსხლმონი. მაგრამ ამ დროს ერთი ახალგაზდა კაცი, ქუჩაში მიარხარახებდა პატარა ხელის-ურემს სხვა-და-სხვა ნაეპკითა. ვადაუდგა წინ ამ გაცოფებულ ცხენებსა და, სიცოცხლის დაუზოგველად შეაჩერა ისინი მადლობის გადახდის შემდეგ ქალმა ჩაიწერა ნომერი ახალგაზდა მოეპკრისა და, დაბრუნდა თუ არა შინ, უამბო თავის ქმარს გმირულს გამარჯვებაზედა (რო-მელსაც უყვარდა ზნეობის მასწავლებელი წიგნების კითხვა). მან თითქმის ტირილით მოისმინა საშინელი თავ-გადასავალი, მადლობა შესწირა, ამ საშინელების გადაჩენისათვის თვით იმას, რომლის უნებურათ ჩიტიც კი არა კვდება, და შემდეგ მოიწყვდია სახლში ის მამაცურად გამბედავი კაცი, ჩაუღრა ხელში ერთი სამოცი თუმნით გავსებული ქისა და უთხრა: „აიღევით, ვილლიამ ფერგუსონო, ჯილდოთ თქვენის კეთილის მოქმედებისათვისა, და თუ ვინცო-ბაა ოდესმე თქვენ დაგპირდებათ მეგობარი, გახსოვდეთ, რომ ტომსონ მაკ-სპადლენსა აქვს კეთილი გულია. ლეე ამ შემთხვევამ გვასწავლეს ჩვენა, რომ კეთილი საქმე არასოდეს არ დაჩეხება სიკეთე გადუხდელათ იმათთვის, ვინც ამას მოიქმედებს.

ჩემი განგრძობა. არ ვავიდა ერთი კვირა რომ ვილლიამ ფერგუსონი მოვიდა მისტერ მაკ-სპადლენთან პრატიკტიის სათხოვნელად, რომ უფრო რამ უკეთესი ადგილი ემოენა, თავის წვრილმან ეპკრობაზედა, მით უფრო რომ იგი თავის თავს ყოველისფერში დახელოვებულიათა სთვლიდა. მისტერ მაკ-სპადლენმა უმოენა მწერლის ადგილი კარგის ჯამაგირითა.

რამდენიმე წნის შემდეგ, ვილლიამ ფერგუსონს დედა გაუხდა ავათა, და ვილლიამმა... ერთის სიტყვით, მისტერ მაკ-სპადლენი დასთანხმდა თავის სახლში მიღებასა, ავადყოფმა ისურვა თავის პატარა შეილებს თავისთან ყოფნა; ამ სახით, მიღებული იქმნენ სპადლენის სახლში მერი და იულია და იმათი ძმა, პატარა ლეიმში. ლეიმსა ჰქონდა პატარა კალმის დანა; ერთ დღეს ის გაჰყვა უკან თავის დებს სასტუმრო ოთახშია და ერთი მეოთხედი საათის განმავლობაში, ათი-ათასი დოლლარის მეტი ნივთები იოწით აიკლეს; ორი სამი დღის შემდეგ ცელქი ლეიმში გადმოვარდა კიბიდგანა და კისერი მოიტეხა, რომლის გამოც იმის დამარხვაზედა, რატო ჩვიდმეტზედა მეტი ნათესაობა არ დაესწრო. ამ შემთხვევით უფრო დაახლოვებული ნათესაობა ჩამოვარდა მათსა და ვილლიამის დედის შორის, და მათ დამარხვის შემდეგ დაიჭირეს ბინათ მაკ-სპადლენის სამზვარეულო. ბებერი სამურათ მიირთმედა ყველაფერს და საამურათაც

იგინებოდა, მაგრამ კეთილი მაკ-სპადლენის სახლობა მანც კეთილათ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობასა. მილლიამიც მალ-მალ მოდიოდა ხოლმე იმათთან, ზოგჯერ ფულსაც საკმაოთ აძლევდენ, მაგრამ მანც მეტ შემოსავლიან ადგილსა სთხოვდა ყოველთვის სპადლენსა. მაკ-სპადლენი ამაზედაც დასთანხმდა. ბებერი ყოყმანის შემდეგ, მილლიამი სასწავლებელში მიეცა, მაგრამ როდესაც დადგა თუ არა პირველი კანიკული, კაბუკ გმირმა მოითხოვა, მეროპაში გავეზენათ, სიმრთელის აღსადგენათა; მაკ-სპადლენი აუჯანყდა თავის ამ გვარ უწყალოსა და გადაწყვეტით უარი უთხრა. მილლიამ ფერგუსონის დედა იმდენათ გააბრაზა ამ უარის თქმამა, რომ ხელიდგან გავარდა არყის ბოთლი და თითონაც გულ შემოყრილი დაცა იატაკზედა. როდესაც მობრუნდა ბებერი, მაშინ ძლივსა წარმოსთქვა:—მაშ აი როგორ უხდით თქვენ კაცს მადლობას! მე არ დავიხსენი თქვენი ცოლის სიცოცხლე განსაცდელისაგანა? მითხარით!

შვიდი თუ რვა მილლიამის ნათესაობა გამოცვივდენ მაკ-სპადლენის სამზარეულოდგან და ყველამ სათითაოთ შესძახეს.

— აი როგორ უხდიან კაცს მადლობას!

აქ კი მაკ-სპადლენმა ველარ შეიმავრა თავისი სიბრაზე და გულ-მოსულმა შეჰყვირა: „დამეკარგენით ჩემის სახლიდგანა! მე მოტყუებული ვიყავი წიგნებისაგანა, მაგრამ შემდეგში მე ისინი ველარ მომატყუებენ!“

შოველ წამკითხველს ამ სტრიქონებისა, რასაკურველია ერთხელ მანც მოუხდებოდა თავის სიცოცხლეში, წუთი კეთილი სულიერებისა, რომელშიაც აღასრულებდა ქველ-მოქმედი გმირის როლს. მე მსურს შეეიტყო, სასიამოვნოა თუ არა ბებრისათვის მოგონება ამ წარსულის შედეგისა.

ორი საზრამატიკო შენიშვნის გამო.

ჩვენ შეეიტყეთ, რომ მთილისში და მუთაისში წრეები შემდგარა, რომელთაც მსურთ, ქართული ენის გრამატიკული ტერმინები და ფორმები განარჩიონ და ერთხელა და სამულამოთ საგრამატიკო ლიტერატურაშიაც დაარსონ და დამტკიცონო. ამ საგნის შესახებ მუთაისიდან წერილებიც იბეჭდებოდა „დროება“-ში და საზოგადოებასაც აცნობეს რამდენ-

ნიმე საგრამატიკო ტერმინები და მასთანვე ქართული ლექსთა წყობის ზოგიერთი ფორმები. მუთაისელთ მიზანით, თუ ნამდვილის საქმის სიყვარულით და გულის სიწრაფელით მთელილია ალძრეს ამ საყურადღებო კითხვებისადმი ბასი და პირველად ბ. მიხ. ნასიძემ დაწერა წერილი, რომელიც ჩვენგან-მიერ ზემომოყვანილის სათაურით „ივერიის“ ნომერებში დაიბეჭდა.

ბ. მიხ. ნასიძე ახალგაზდა კაცია, მეცადინე ქართულს პედაგოგიურს მწერლობაში და მან თვისი მეცადინეობა არა ერთხელ დაამტკიცა, თუ ქართულ-ქურნალ გაზეთების ფურცლებით და თუ შარშან თვისგან გამოცემულის ქართულის ქრესტომატიით. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ბ. ნასიძე მარტო ქრესტომატიით არ დააბოლავებს თვის შრომასა და იგი სხვებსაც ბევრს რასმე გამოსცემს ჩვენს ღარიბს მწერლობაში. ჩვენ უკვე დღეს ისიც შევიტყეთ, რომ ბ. ნასიძე ქართული სახელმძღვანელო გრამატიკის გამოცემას აპირებს. ღმერთმა ქნას, რომ ეს ხმა მართალი გამოდგეს და ამ ახალგაზდა პედაგოგმა თავის დაპირებას არ უმტყუნოს.

ნასიძის წერილებმა ქართულ მწერლობაში საკმარისი ყურადღება მიიპყრეს და „ივერიაში“ რამდენიმე წერილიც დაბეჭდეს, შესახებ ქართულის გრამატიკისა, რომელიც მრავალთაგან იქმნა სიამოვნებით წაკითხული. ქართული გრამატიკული კანონების შემუშავება იქამდის საყურადღებოთ გახდა მთელი ქართველთათვის, რომ დღეს მრავალნი საუბრობენ ამ საგანზე და მეცადინეობენ, რომ ქართული სხვადასხვა გრამატიკები მოიპოვონ და როგორმე გარიანათ ვაიკნან. ამიტომ ვალად ვრაცხ მე, რომ აქ პატარა ბაბლოგრაფიული შენიშვნა დავწერო ყველა იმ გრამატიკებისა, რომელნიც კი საყურადღებონი არიან ქართულს ენაზე და ადვილათ მოსაპოვებელნი. ამის დაწერას მე მით უფრო ვბედავ, რადგანაც ნასიძის და სხვების წერილებში მხოლოდ მოხსენებულია ჩუბინოვის, ლოდვეის, მოსელიანის, ქართველკათოლიკეების და შიფინისაგან გამოცემული გრამატიკები და რაფ. მრისთავისაგან შედგენილი ქართული გრამატიკის სქემა.

ზემო მოხსენებულთ გრამატიკებთ გარდა ქართულს ენაზე არსებობენ შემდეგი გრამატიკები:

1) გრამატიკა, ვრცელი, შედგენილი ანტონ კათალიკოზისაგან და დაბეჭდილი ქალაქ მთელიის 1885 წ.

2) ქართული გრამატიკა, შედგენილი ზოგრაბ შანშოვანისაგან, მახტანგ მეფის დროს. ამ გრამატი-

კას ათი ბრუნვა აქვს. ბრუნვას სწრაფად უწოდებს და ასევე სხვა-და-სხვა საგრამატიკო ტერმინებს. ეს გრამატიკა 1881 წ. მთელიის არხელოგიური კრების სახსოვრად საგარელო პეტერბურგში გამოსცა. მთელი გამოცემა პეტერბურგში აწყვიდა და მთელიისში კი შოვნა არ არის.

3) შემოკლებული გრამატიკა. ანტონ კათალიკოზისა. ეს ხმარებული იყო XVIII საუკ. საქართველოს სკოლებში.

4) შეადგინა ლავით ბატონიშვილმა, გრამატიკის თავის პაპას, მრეკლეს, მიუძღვნის. ეს გრამატიკა დაუბეჭდავია. ამის ხელთ-წერილი 1875 წ. მთელიისი-დამ ჩუბინოვმა წაიღო პეტერბურგში.

5) შეადგინა ლავით რექტორმა. ამას თვით ხმარობდა თავის სკოლაში.

6) შეადგინა შარლამ ეგზარქოსმა და 1802 წ. პეტერბურგში დაბეჭდა. ამ გრამატიკის ერთი ეგზ. „წერა-კითხვის სამართველოს“ მიეყიდე.

7) რუსულ-ქართული გრამატიკა. შეადგინა და დაბეჭდა გოდერძი შირალოვმა 1827 წ. ეს გრამატიკა სახელმძღვანელოდ ყოფილა მიღებული.

8) საგრამატიკო კანონები, შედგენილია იოვანე ბატონიშვილისაგან. ამ კანონებდამ რამდენიმე პარაგრაფი „კალმასობა“-შია ჩართული.

9) გრამატიკა არის ლავით ქართველოვისაგან შედგენილი, რომელიც 1812 წ. დაუბეჭდათ მთელიისში. ეს გრამატიკა კითხვა-მიგებით ყოფილა დაწერილი და იმ დროს სახელმძღვანელოდ მიღებული. ეს გრამატიკაც „წერა-კითხვის სამართველოს“ მიეყიდე.

10) გრამატიკა, შედგენილია და დაბეჭდილი 1787 წ. ქ. კრემენჩუგს. ეს გრამატიკა პატარა ზომის არის, დაბეჭდილია ხუცურ-ხედრულის ასოებით და ეკუთვნის ბაიოს არხიმანდრიტს, რომელიც დღეს „წერა-კითხვის სამართველოშია“ დაცული.

11) ქართული საგრამატიკო წერილები, დაბეჭდილია 1861 და 1862 წ.წ. „სისკრის“ ნომერებში.


12) საგრამატიკო შენიშვნები, დაბეჭდილია 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“.

13) მანხილვა ქართულის ენისა. დაბეჭდილია 1874 წ. «სისკარში». ეს სტატია ცალკეც არის დაბეჭდილი. მკუთვნის თ. ბრ. მრბელიანს, ბოლოზე „ძველი სემენარისტი“ აწერია. სტატიაში განხილულია ბიორგი წერეთლის მოთხრობა «მგზავრის შენიშვნები». ეს მოთხრობა 1873 წ. „პრებულში“ დაიბეჭდა. მარჩევაში დიდი ყურადღება მიპყრობილი ზმნაზე და თანდებულზე.

14) გრამატიკა, შედგენილია უცნობის პირისაგან. ეს გრამატიკა ბევრის ტერმინებით და მასალებით განირჩევა სხვა გრამატიკებთან. სხვათა შორის ბოლოში შეკრებილია და ანბანზე ასმული ქართული ზმნები. ზმნათ რიცხვი 7000 იყო. ეს გრამატიკა დღეს წერა-კითხვის სამართველოს ეკუთვნის. ამ ზემოხსენებულ გრამატიკებთ გარდა, არსებობს კიდევ მრავალი სხვა-და-სხვა ხელთ-ნაწერი გრამატიკები, რომლებიც მე თვით მაქენდა და რომლებიც დღეს წერა-კითხვის სამართველოს ეკუთვნის.

წარმოვადგენ ამ სიას და უეჭველია, რომ ამის საშუალებით მრავალნი მოსძებნიან ამ გრამატიკებსა, ჯერეთ ამათ შინაარსებსაც გაიცნობენ და მერე უეჭველია, რომ უფრო გაიადვილებენ თვის შრომას. ამ გრამატიკების წაკითხვა მით უფრო საჭიროა, რადგანაც ერთი მეორისაგან ბევრ ნაირის საგრამატიკო ტერმინებით და მავალითებით განირჩევიან.

წ. ჭიჭინაძე.



ნ ა რ ე ვ ი

ადმორჩეული აზრები ჭიჭინაძის, შესახებ მომავალზე.

მომავალს ბედნიერებას ისეთი სამოსელი აქვს წამოსხმული, რომლიდგანაც მკრთალათა სიანს გაზაფხულისაგან ახლად აყვავებული მდელო და ჩუმის ხმით, ნაზი ჰარმონიული ხმა მოისმის. (8. 189).

ჰკუა საქმეზედ წინ მიდის, როგორათაც ელვა ქუხილის წინ... ნემეცების ქუხილი, თვით ნემეცია; თუმცა იგი სრულიად უმოძრაოა, მაინც კი კიდევ მოვა, მაგრამ ისეთის საშინელებით დაიწყებს ქუხილსა და გრიალსა, რომ თავის დღეში კაცს დედა-მიწის ზურგზედ არ გამოეცადოს. მაშინ არწივები უსულონი ძირს ჩამოცვივიან და აფრიკის უღაბნოებში ამაყათ მავალი ლომები, კუდ მაკაკანი თავიანთ მფეურს გამოკვებულეებში შევლენ. ჯერ ჰერმანიაში სიჩუმეა, თუ ვინმე უთავ-ბოლოდ ყბედობს, ნუ გგონიათ, რომ ეგენი ის მსახოვანი არიან, რომელთაც იმ მომავალს ტრაგედიაში მონაწილეობა უნდა მიიღონ. მგენი ის ძაღლები არიან, რომელნიც ცარიელა სცენაზედ დარბიან, ერთმანეთსა ჰყეფენ და ჰგლეჯენ. სანამ არ იქნება, ვიდრე გლადიატორები არ გამოვლენ დიდს ბრძოლის მოედანზედ, იმ ბრძოლაში, რომელიც სიკვდილ სიცოცხლეზეა. (3. 109).

სახალხო ლექსები

(წემო იმკრეთში შეკრებილი სოსიკოსტან)

ძირულა მოდიდებულა,
ევირილას მიაქეს სიდიო—
გისც წამალი გინდოდეს,
თურმანიქსთან მიდიო.

ერთი სიტყვა რამ მსწადოდა,
წავსდექ წინა და მე ვერ ვსთქვი;
წავსდექ და უკუ მოვსდექი,
დღეს არა, სვალე ვსთქვა შეთქვი.—
ნეტა შენ, ჩემო სიტყვა,
ჩემ სიტყვსაღესი არ შეთქვი,
და ჩვე არ გითხარ ჩემო ეს
შესნ პირში იყავი შეთქვი?!

გასტანგ მეფე ღმერთს უფარდა,
ტიდგან ესმის ზარის რეკა;
იაღბუსზედ ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

თქვი ჩირიძეთ, ემაწვილნო!
დაივარცხნათ დილით თმასა—
ჩვენ მტერი ვერას დაგვაკლებს,
შამოკერტემით გალანასა!

ზატარა წამოვიზარდე,
გისწავლე—ტეე და ველოა;
მტრებისკენ რომ პირი ვქენი—
მეგონა სარგებულოა...

უნდა წავიდე გავითარდე,
შენ მენახები მამულა!
ახსრებულა მტრისაგან,
შვილთაგან დაიბლებულა!..

იარე, ბიჭო, წავიდეო,
გზა შეკვრათ ჩვენი მტრისაო,
ჩამოვივლიან თარეშნი,
ურჯულა სხვათა მხრისაო;
ხელთა უჭირავსთ თოფები,
თოფები სვარასისაო.
დავურეკინოთ ტყეები,
მადლიც მოგვსვდება ღვთისაო.

მმაო, მაკ შენსა მომკლავსა

ირმულათ მივეპარები:

თოფსა ვჭკრავ, სმალსა შემოვკრავ,
ანტ ერთს არ დავუძლევი.

მამულა! შენთვის მოკვებები!
შენთვის ჩავიცვამ შავსაო!
შენ შამოვწინავ, სიცოცხლეს!
შამოვკვებები თავსაო!



წინა გამოცანების ახსნა

- 1) გუთანი. 2) ციციხათელა. 3) ბროწეული.
- 4) ყინული. 5) კვერი. 6) კანკი (წვივი). 7) თითის ტარი. 8) ქული 9) წაბლი 10) ბური.

რედაქტორი და გამომცემელია გ. აბაშიძე.

ბანსხალბანი

ს ტ ა მ ბ ა

მ ე ლ ი ქ ი შ ე ი ლ ი ს ა .

თფალისში—სასახლის ქუჩ., არწრუნისეულ ქარ-
ვასლანში, ქართული თეატრის ჩუქმთ სართულში.

იღებს ყოველ გვარს სასტამბო საქმეებს საბე-
ჭდავით: გაზეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთ-
ვე ყოველ-გვარ ბლანკებს, კვიტანციებს, სწოტებს,
განცხადებებს, აფიშებს, შირობებს და სსვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის
შესრულებასე სტამბა შირობას აძლევს საქმის
მომტანთ.

სტამბა ვისრულობს კორექტორის გასწორებებს
და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის
მომტემნი ისურვებენ.



„თამარ ცხიერია“

ისტორიული დრამატული პოემა აბაქისა,

ისილება მორაჯის ბიბლიოთეკაში, გოლოვინის
პროსპექტზე, მუსრან-ბატონის სახლში და გრიქუროვის
წიგნის მაღაზიაში. ფასი ათი შაური.

(10—1)

სურათები

ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა

აბასი წაკითხლი

ბა. მარბელიანი

ილია ჭავჭავაძე

ბიორგი მრისთავი

ერეკლე მღაზი

სიმონი მუსხი

ჩინებულ ალექსანდროვის ქალღმრთელად
მსატყობა ა. ბერიძისა

ისილება გრ ქუროვის წიგნის მაღაზიაში,
ტუკიის ხიდის ყურზე, ზუბალოვის სახლებში
და ი. საფაროვის ბაკალიინი მაღაზიაში, არწ-
რუნისეულ ქარვასლაში.

გინჯ ათს ან მეტს სურათს გამოიწერს, მა-
შინ თითო სურათი 16 კაპ. დაეთმობა.